

**სახაზინო სამსახურის  
ი ნ ფ ო რ მ ა ც ი ა**  
**საქართველოს 2007 წლის იანვარ-აპრილის სახელმწიფო ბიუჯეტის  
შემოსულობებისა და გადასახდელების შესრულების შესახებ**

**სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები და გრანტები**

საქართველოს 2007 წლის იანვარ-აპრილის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების და გრანტების საპროგნოზო მოცულობა განისაზღვრა 1 170 403.1 ათასი ლარით, ფაქტიურად მობილიზებული იქნა 1 361 855.7 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მოცულობის 116.4%-ია. მათ შორის შემოსავლების საპროგნოზო მოცულობამ შეადგინა 1 142 602.7 ათასი ლარი, ფაქტიურად მიღებული იქნა 1 331 341.8 ათასი ლარი ანუ საპროგნოზო მოცულობის 116.5%; მათ შორის:

– საგადასახადო შემოსავლების 2007 წლის იანვარ-აპრილის საპროგნოზო პარამეტრი განისაზღვრა 925 164.0 ათასი ლარით, ხოლო ფაქტიურად მიღებულმა შემოსავლებმა – 1 064 973.5 ათასი ლარი, შეადგინა საპროგნოზო პარამეტრის 115.1%; მათ შორის საბაჟო დეპარტამენტის მიერ სახელმწიფო ბიუჯეტში ფაქტიურად მობილიზებული იქნა 445 185.9 ათასი ლარი ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის (400 190.0 ათასი ლარი) 111.2%-ი, ხოლო საგადასახადო დეპარტამენტის მიერ მობილიზებული იქნა 619 787.6 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის (524 974.0 ათასი ლარი) 118.1%.

2007 წლის იანვარ-აპრილში სახელმწიფო ბიუჯეტის არასაგადასახადო შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი შეადგენდა 170 097.7 ათას ლარს, ხოლო ფაქტიურად მიღებული იქნა 218 663.5 ათასი ლარი, ანუ გეგმის 128.6%.

იანვარ-აპრილში კაპიტალური შემოსავლების საპროგნოზო პარამეტრი განისაზღვრა 47 341.0 ათასი ლარით, ფაქტიურად მიღებული იქნა 47 704.8 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო პარამეტრის 100.8%.

გრანტების სახით სახელმწიფო ბიუჯეტში 2007 წლის იანვარ-აპრილში მისაღები სახსრების ოდენობა განისაზღვრა 27 800.4 ათასი ლარით, ფაქტიურად მიღებული იქნა 30 513.9 ათასი ლარი ანუ გეგმის 109.8% გრანტებში ასახულია:

– ინვესტიციური პროექტებისა და გრანტების ფარგლებში ჩარიცხული თანხების შესახებ ფინანსთა სამინისტროს საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტის ინფორმაციით სახაზინო სამსახურის ერთიანი ანგარიშის გაუვლელად მიღებული გრანტის თანხები 13 950.7 ათასი ლარი;

– ხაზინის ერთიან ანგარიშზე ჩარიცხული ბიუჯეტის მხარდამჭერი გრანტი 12 127.8 ათასი ლარი;

– ხაზინის ერთიან ანგარიშზე ჩარიცხული “სახელმწიფო სექტორის ფინანსური მართვის მხარდამჭერი პროექტის” გრანტი – 3 335.3 ათასი ლარი.

– სახაზინო სამსახურის მომსახურებაზე მყოფი ინვესტიციური პროექტების გრანტები სულ 1002.0 ათასი ლარი, რომლის ექვივალენტი უცხოური ვალუტა, დონორების მიერ პროექტების დასაფინანსებლად ხაზინის სავალუტო ანგარიშზე ჩარიცხული თანხიდან დაკონვერტირდა და ხაზინის ერთიანი ანგარიშის მეშვეობით მიიმართა სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობებში; მათ შორის: “დაცული ტერიტორიების განვითარება”, გრანტი 727.8 ათასი ლარი, “საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების ახლადორგანიზებული სამინისტროს ინსტიტუციური უნარის გაძლიერება”, გრანტი 11.2 ათასი ლარი, “ფრინველის გრიპის კონტროლისა და ადამიანებში პანდემიისათვის მზადყოფნისა და რეაგირების პროექტის”,

გრანტი 9.3 ათასი ლარი, “ფრინველის გრიპის კონტროლისა და ადამიანებში პანდემიისათვის მზადყოფნისა და რეაგირების პროექტის” (ცხოველთა ჯანმრთელობის კომპონენტი), გრანტი 18.7 ათასი ლარი, “ინფრასტრუქტურის ინვესტიციების მოსამზადებელი პროექტის (ადმოსავლეთ-დასავლეთის ავტომაგისტრალი)” გრანტი 187.8 ათასი ლარი და “ინფრასტრუქტურის ინვესტიციების მოსამზადებელი პროექტის (ხულონის კომპონენტი)” გრანტი 47.2 ათასი ლარი.

– ხაზინის ერთიან ანგარიშზე გრანტების სახაზინო კოდეზზე ჩარიცხული სხვა თანხები 98.1 ათასი ლარი.

ინვესტიციური პროექტებისა და გრანტების ფარგლებში ჩარიცხული თანხების შესახებ ფინანსთა სამინისტროს საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციდან (დანართი 1) ამოითიშა და სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიშგებაში არ იქნა გათვალისწინებული საბიუჯეტო ორგანიზაციებზე დონორების მიერ გამოყოფილი მიზნობრივი დანიშნულების გრანტები 2 842.2 ათასი ლარი, რომელიც “სამინისტროების და უწყებების მიერ მიღებული ფულადი გრანტების აღრიცხვის და ხარჯვის შესახებ” საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2004 წლის 30 აგვისტოს №570 ბრძანების თანახმად, ბიუჯეტის შემოსულობებში აისახება “საქართველოს 2007 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ” საქართველოს კანონში შესაბამისი ცვლილებების შეტანის შემდეგ; სახაზინო სამსახურის მომსახურებაზე მყოფი საინვესტიციო პროექტის “ინფრასტრუქტურის ინვესტიციების მოსამზადებელი პროექტის გრანტი 361.7 ათასი ლარი; “ფრინველის გრიპის კონტროლისა და ადამიანებში პანდემიისათვის მზადყოფნისა და რეაგირების პროექტის” გრანტი 402.8 ათასი ლარი და “დაცული ტერიტორიების განვითარების”, გრანტი 720.9 ათასი ლარი, რომელთა შესაბამისი ექვივალენტები უცხოურ ვალუტაში ჩაირიცხა ხაზინის სავალუტო ანგარიშზე და პროექტის განმახორციელებელი სსიპ-ს მიერ ხარჯების გაწევის შესაბამისად, დაკონვერტირდება და ხაზინის ერთიანი ანგარიშის მეშვეობით მიიმართება ბიუჯეტის შემოსულობებში.

“საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს სისტემაში შემაჯავლი ბიუჯეტის მხარჯავი ერთეულების მიერ მიღებული საკონსულო მოსაკრებლებისა და ბიუჯეტის შემოსულობათა აღრიცხვისა და გამოყენების წესის შესახებ” საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 6 მარტის №82 ბრძანებულების შესაბამისად, საკონსულო მოსაკრებლებისა და ბიუჯეტის სხვა შემოსულობების სახით, საგარეო საქმეთა სამინისტროს წერილობითი მომართვების საფუძველზე, სახაზინო სამსახურის მიერ ხაზინის ერთიან ანგარიშზე 2007 წლის იანვარ-აპრილში როგორც შემოსავლებში, ასევე ხარჯებში ასახული იქნა, წარმომადგენლობებისა და საკონსულო დაწესებულებების, ასევე საგარეო საქმეთა სამინისტროს აპარატის მიერ მიღებული და ადგილზე გახარჯული თანხები სულ 1 098.9 ათასი ლარი.

### სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის დაფინანსების წყაროები

2007 წლის იანვარ-აპრილში საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის დაფინანსებამ შეადგინა –125 685.9 ათასი ლარი; მათ შორის:

– წინა წელს გამოუყენებელი საბიუჯეტო სახსრების დაბრუნებით მიღებული იქნა 2 648.2 ათასი ლარი;

– საანგარიშო პერიოდში სახელმწიფო ბიუჯეტის თავისუფალი საბრუნავი სახსრების დაგროვებამ შეადგინა –164 010.0 ათასი ლარი (2007 წლის 1 იანვრისათვის ხაზინის ერთიან ანგარიშზე რიცხული ნაშთი –235 424.8 ათასი ლარი, რომელმაც დაზუსტების შემდეგ შეადგინა 235 426.7 ათასი ლარი, გაიზარდა და 2007 წლის 1 მაისისთვის ხაზინის ანგარიშებზე ნაშთმა შეადგინა 399 436.7 ათასი ლარი).

– სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის დაფინანსების საგარეო წყაროების სახით 2007 წლის იანვარ-აპრილში საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებისა და სხვა ქვეყნის მთავრობების მიერ საქართველოს მთავრობისათვის გამოყოფილი გრძელვადიანი საინვესტიციო კრედიტების მოცულობამ შეადგინა 35 675.9 ათასი ლარი.

კრედიტებში ასახულია:

– ინვესტიციური პროექტებისა და გრანტების ფარგლებში ჩარიცხული თანხების შესახებ ფინანსთა სამინისტროს საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტის ინფორმაციით სახაზინო სამსახურის ერთიანი ანგარიშის გაუვლელად მიღებული კრედიტის თანხები 35 659.8 ათასი ლარი;

– სახაზინო სამსახურის მომსახურებაზე მყოფი ინვესტიციური პროექტის კრედიტების თანხა სულ 11.1 ათასი ლარი, რომლის ექვივალენტი უცხოური ვალუტა, ხაზინის სავალუტო ანგარიშზე ჩარიცხული თანხიდან კონვერტაციის შემდგომ ხაზინის ერთიანი ანგარიშის მეშვეობით მიიმართა სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობებში; მამ შორის: “ფრინველის გრიპის კონტროლისა და ადამიანებში პანდემიისათვის მზადყოფნისა და რეაგირების პროექტის”, კრედიტი 9.3 ათასი ლარი, “ფრინველის გრიპის კონტროლისა და ადამიანებში პანდემიისათვის მზადყოფნისა და რეაგირების პროექტის” (ცხოველთა ჯანმრთელობის კომპონენტი), კრედიტი 1.8 ათასი ლარი.

– ხაზინის ერთიანი ანგარიშზე კრედიტების სახაზინო კოდებზე ჩარიცხული სხვა თანხები 5.0 ათასი ლარი.

ინვესტიციური პროექტებისა და გრანტების ფარგლებში ჩარიცხული თანხების შესახებ ფინანსთა სამინისტროს საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციიდან (დანართი 1) ანგარიშგებაში ასახვისას ამოითიშა სახაზინო სამსახურის მომსახურებაზე მყოფი ინვესტიციური პროექტების: “სტრუქტურული რეფორმების ხელშეწყობა” კრედიტის თანხა – 42.8 ათასი ლარი, “ფრინველის გრიპის კონტროლისა და ადამიანებში პანდემიისათვის მზადყოფნისა და რეაგირების პროექტის” კრედიტის თანხა – 301.0 ათასი ლარი, რომელთა ექვივალენტი უცხოურ ვალუტაში ჩარიცხა ხაზინის სავალუტო ანგარიშზე და პროექტის განმახორციელებელი მხარჯავი სუბიექტის მიერ ხარჯების გაწევის შესაბამისად მოხდება კონვერტირება და ხაზინის ერთიანი ანგარიშის მეშვეობით მიიმართება ბიუჯეტის შემოსულობებში.

ფინანსთა სამინისტროს 2006 წლის 25 დეკემბრის №1825 ბრძანებით დამტკიცებული “სახელმწიფო ხაზინის მომსახურებაზე მყოფი ორგანიზაციების მიერ ვალდებულებების აღებისა და ხარჯების გაწევის წესის შესახებ” ინსტრუქციის თანახმად სახაზინო სამსახურში დონორების მიერ საანგარიშო პერიოდში გამოყოფილი დაფინანსებისა და გაწეული საკასო ხარჯების შესახებ სახაზინო სამსახურში ინფორმაცია წარმოდგენილი იქნა საინვესტიციო პროექტების განმახორციელებელი სსიპ-ის მიერ 27 პროექტზე და საანგარიშო პერიოდში გამოყოფილი თანხების მოცულობამ შეადგინა 31 764.0 ათასი ლარი, ხოლო გაწეულმა საკასო ხარჯმა 2007 წლის 1 იანვრისათვის რიცხული ნაშთებისა და საანგარიშო პერიოდში ჩარიცხული თანხების ფარგლებში შეადგინა 29 664.8 ათასი ლარი, ხოლო 1 იანვრისათვის რიცხული ნაშთების (რომლის ასახვა მოხდა გასული წლების ბიუჯეტის შესრულების ანგარიშგებისას) გარეშე, საანგარიშო პერიოდში ჩარიცხული თანხების ფარგლებში გაწეულმა საკასო ხარჯებმა – 11 516.4 ათასი ლარი. 34 პროექტზე არ წარმოდგენიათ ინფორმაცია გამოყოფილი თანხებისა და საკასო ხარჯების შესახებ პროექტების განმახორციელებელ სსიპ-ებს.

2007 წლის 1 მაისის მდგომარეობით სახელმწიფო ბიუჯეტის ხაზინის ანგარიშებზე საბიუჯეტო სახსრების სახით რიცხულ ნაშთში (399 436.7 ათასი ლარი), ასახულია ხარჯების მობრუნების შედეგად ჩარიცხული გაურკვეველი თანხები 127.0 ათასი ლარი, რომელიც მხარჯავი სუბიექტის მიერ დამატებითი ინფორმაციების წარმოდგენის და დაზუსტების შემდეგ, მიიმართება დანიშნულებით.

2007 წლის 1 მაისის მდგომარეობით სხვადასხვა უცხოურ ვალუტაში ხაზინის საბიუჯეტო სახსრების სავალუტო ანგარიშებზე რიცხულმა თანხებმა შესაბამისი ექვივალენტით ეროვნულ ვალუტაში შეადგინა 82.5 ათასი ლარი.

### სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები

სახელმწიფო ხარჯების მართვის პროცესის სრულყოფის, გამარტივებისა და გამჭვირვალობის უზრუნველყოფის მიზნით, სახაზინო სამსახურში მიმდინარე რეფორმის ფარგლებში, 2007 წლის 1 იანვრიდან ძალაში შევიდა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2006 წლის 25 დეკემბრის №1825 ბრძანებით დამტკიცებული “სახელმწიფო ხაზინის მომსახურებაზე მყოფი ორგანიზაციების მიერ ვალდებულების აღებისა და ხარჯების გაწევის წესის შესახებ” ინსტრუქცია. შედეგად გამარტივდა საბიუჯეტო ხარჯების გაწევის პროცესი, გაერთიანდა დამოწმების დოკუმენტი და საგადახლო დავალება ერთ დოკუმენტში – საგადახლო მოთხოვნა და შესაბამისად გაერთიანდა დამოწმებისა და გადახდის ეტაპებიც, რამაც მნიშვნელოვნად შეამცირა სახელმწიფო ბიუჯეტიდან ხარჯების გაწევის დრო და ასევე დოკუმენტბრუნვა ისე, რომ საბიუჯეტო ხარჯებზე ადექვატური ოპერატიული კონტროლი კვლავაც უზრუნველყოფილია.

„საქართველოს 2007 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების, დეფიციტის დაფინანსების წყაროებისა და გადასახდელების და 2007 წლის ნაერთი ბიუჯეტის შემოსულობების კვარტალური განწერის დამტკიცების თაობაზე” საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №5 ბრძანებით დამტკიცებული განწერით, 2007 წლის ექვს თვეში გასაწევი სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელების საპროგნოზო პარამეტრი განისაზღვრა 1 978 276.0 ათასი ლარით (მათ შორის საბიუჯეტო სახსრები – 1 891 207.8 ათასი ლარი, კრედიტები და გრანტები – 87 068.2 ათასი ლარი); ვალდებულებები აღებული იქნა 1 555 845.7 ათას ლარზე, მოთხოვნამ და საკასო ხარჯმა შეადგინა – 1 236 296.8 ათასი ლარი (მათ შორის საბიუჯეტო სახსრებით გაწეული ხარჯების მოცულობა – 1 185 399.0 ათასი ლარი; ხოლო კრედიტებიდან და გრანტებიდან გაწეული ხარჯების მოცულობა – 50 897.8 ათასი ლარი), რაც ვალდებულების 79.5%, ხოლო ექვსი თვის გეგმის 62.5%-ს შეადგენს. საბიუჯეტო სახსრებით გაწეული ხარჯების მოცულობამ 2007 წლის იანვარ-აპრილის მთლიან ხარჯებში შეადგინა 95.9%, ხოლო კრედიტებიდან და გრანტებიდან გაწეული ხარჯების მოცულობამ კი მთლიანი ხარჯების 4.1%.

“საქართველოს საბიუჯეტო სისტემის შესახებ” საქართველოს კანონის თანახმად, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2005 წლის 29 დეკემბრის №1307 ბრძანებით დამტკიცებული “საბიუჯეტო ორგანიზაციებისათვის ფულის გაცემის ოპერატიული ფინანსური გეგმის შედგენისა და ფულადი სახსრების მართვის წესის შესახებ” ინსტრუქციის საფუძველზე, ხაზინის მომსახურებაზე მყოფი ორგანიზაციების მიერ ბიუჯეტით განსაზღვრული ასიგნებების ფარგლებში თანხების ხარჯვა საანგარიშო პერიოდში ხორციელდებოდა, მათ მიერ მოსალოდნელ ხარჯებზე წარმოდგენილი ინფორმაციის შესაბამისად, სახაზინო სამსახურის მიერ შედგენილი და საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ დამტკიცებული ყოველთვიური ოპერატიული ფინანსური გეგმის მიხედვით.

“საქართველოს 2007 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ” საქართველოს კანონის თანახმად, იანვარ-აპრილში სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელებზე ინფორმაცია ორგანიზაციულ ჭრილში დანართის სახით თან ერთვის, ხოლო გაწეული ხარჯების სტრუქტურა ბიუჯეტის ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით შემდეგია:

“მუშა-მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურების” მუხლით ხარჯების დასაფინანსებლად 2007 წლის ექვსი თვის გეგმამ შეადგინა 219 002.4 ათას ლარი. ამ მიზნით რეგისტრირებული იქნა ვალდებულებები (წარმოდგენილია განაცხადი) 188 424.6 ათას ლარზე, მოთხოვნამ და საკასო ხარჯმა შეადგინა 135 859.2 ათასი ლარი, რაც ვალდებულების 72.1%-ს და ექვსი თვის საგეგმო მაჩვენებლის 62%-ს შეადგენს.

“დამქირავებელიდან ანარიცხების” ექვსი თვის გეგმა განისაზღვრა 46 475.6 ათასი ლარით. საანგარიშო პერიოდში რეგისტრირებული ვალდებულების მოცულობამ შეადგინა 39 880.4 ათასი ლარი, მოთხოვნამ და საკასო ხარჯმა – 28 642.1 ათასი ლარი, რაც შეადგენს ვალდებულების 71.8%-ს და საგეგმო მაჩვენებლის – 61.6%-ს.

“მივლინებები”-სათვის 2007 წლის ექვსი თვის გეგმით გათვალისწინებულია 21 312.4 ათასი ლარის გამოყოფა. საანგარიშო პერიოდში აღებული ვალდებულების ოდენობამ შეადგინა 13 661.7 ათასი ლარი, მოთხოვნამ და საკასო ხარჯმა – 13 388.7 ათასი ლარი, რაც ვალდებულების 98%-ს და გეგმის – 62.8%-ს შეადგენს.

„სხვა საქონელი და მომსახურების“ მუხლით 2007 წლის ექვსი თვის გეგმით განსაზღვრულია 291 174.8 ათასი ლარის გამოყოფა. აღნიშნული მუხლიდან აღებულმა ვალდებულებებმა შეადგინა 194 402.2 ათასი ლარი, მოთხოვნამ და საკასო ხარჯმა – 160 011.5 ათასი ლარი, რაც ვალდებულების 82.3%-ს და ექვსი თვის გეგმის – 55%-ს შეადგენს. ამ კატეგორიიდან ხდება საბიუჯეტო ორგანიზაციების კვების ხარჯების დაფინანსება. ექვსი თვის გეგმით კვების ხარჯების მუხლით დაგეგმილია 20 017.0 ათასი ლარის გამოყოფა. ვალდებულების მოცულობამ შეადგინა 14 229.8 ათასი ლარი, მოთხოვნამ და საკასო ხარჯმა – 10 098.8 ათასი ლარი, რაც ვალდებულების 71%-ს და გეგმის 50.5%-ს შეადგენს.

ამავე მუხლიდან წინა წლებში წარმოქმნილ დავალიანებებზე სასამართლო გადაწყვეტილებებით დაკისრებული თანხების სახით, შესაბამისი სააღსრულებლო ბიუროების საინკასო დავალებით, სახაზინო სამსახურის ერთიანი ანგარიშიდან ეროვნული ბანკის მიერ იძულების წესით ჩამოჭრილ იქნა 1 001.3 ათასი ლარი. ორგანიზაციებს, რომელთა დავალიანების დაფარვაც განხორციელდა, დავალიანებათა ჩამოწერის შესახებ ეცნობათ წერილობით.

“სუბსიდიების, სუბვენციების და მიმდინარე ტრანსფერების” მუხლით გასაწევი ხარჯების 2007 წლის ექვსი თვის გეგმამ შეადგინა 902 605.8 ათასი ლარი. საანგარიშო პერიოდში აღებული ვალდებულებების ოდენობამ შეადგინა 780 127.6 ათასი ლარი, მოთხოვნამ და საკასო ხარჯმა – 585 313.2 ათასი ლარი, რაც ვალდებულების 75%-ს და გეგმის 64.8%-ს შეადგენს.

ხარჯების აღნიშნული კატეგორიიდან 2007 წლის იანვარ-აპრილში ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტებს ტრანსფერის სახით გადაერიცხათ 40 151.6 ათასი ლარი, ანუ ვალდებულების (51 124.6 ათასი ლარი) 78.5% და ექვსი თვის გეგმის (51 253.5 ათასი ლარი) 78.3%.

„სუბსიდიების, სუბვენციების და მიმდინარე ტრანსფერების“ მუხლიდან საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სოციალური პროგრამების დასაფინანსებლად გამოეყო 311 279.0 ათასი ლარი, მოთხოვნამ და საკასო ხარჯმა შეადგინა 201 789.4 ათასი ლარი, რაც გეგმის 64.8%-ია. მათ შორის სახელმწიფო პენსიების დაფინანსების ხარჯებმა შეადგინა 144 532.1 ათასი ლარი, რაც ვალდებულების – 216 450.0 ათასი ლარის 66.8% და ექვსი თვის გეგმის (217 100.0 ათასი ლარი) 66.6%-ია.

„სუბსიდიების, სუბვენციების და მიმდინარე ტრანსფერების“ მუხლიდან საანგარიშო პერიოდში ენერგოსისტემის სუბსიდიების ღონისძიებების დასაფინანსებლად მიიმართა 93 590.3 ათასი ლარი, რაც შეადგენს ვალდებულების – (96 774.6 ათასი ლარი) 96.7%-ს და ექვსი თვის გეგმიური მაჩვენებლის (116 594.3 ათასი ლარი) 80.3%-ს.

განათლების სისტემის სუბსიდიებისათვის მიმართული იქნა 109 095.8 ათასი ლარი. საანგარიშო პერიოდში რეგისტრირებული იქნა 156 263.9 ათასი ლარის ვალდებულებები, ხოლო 2007 წლის ექვსი თვის გეგმამ შეადგინა 174 908.7 ათასი ლარი. საკასო ხარჯმა

შეადგინა ვალდებულების 69.8% და საგეგმო მაჩვენებლის – 62.4%. ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების პროგრამების ხარჯების დასაფინანსებლად მიმართული იქნა 63 567.8 ათასი ლარი, რაც ვალდებულების (100 000.0 ათასი ლარი) 63.6% და ექვსი თვის საგეგმო მაჩვენებლის (100 000.0 ათასი ლარი) 63.6%-ია.

კაპიტალური ხარჯების მუხლით 2007 წლის იანვარ-აპრილში გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 251 373.7 ათასი ლარი, რაც ვალდებულების (277 641.0 ათასი ლარი) 90.5% და ექვსი თვის გეგმიური მაჩვენებლის (373 727.1 ათასი ლარი) 67.3%-ია.

დაკრედიტების მუხლით 2007 წლის იანვარ-აპრილში მოთხოვნამ და საკასო ხარჯმა შეადგინა 10 654.1 ათასი ლარი, რაც ვალდებულების (10 654.1 ათასი ლარი) 100%-ს და საგეგმო პარამეტრის (11 639.0 ათასი ლარი) 91.5%-ს შეადგენს.

ვალდებულების დაფარვის (დაფინანსების) მუხლით 2007 წლის ექვსი თვის გეგმა განისაზღვრა 54 510.7 ათასი ლარით, საანგარიშო პერიოდში აღებული ვალდებულებების ოდენობამ შეადგინა 20 296.7 ათასი ლარი, მოთხოვნამ და საკასო ხარჯმა – 20 296.7 ათასი ლარი, რაც ვალდებულების 100%-ს და გეგმის 37.2%-ს შეადგენს.

თანახმად “საქართველოს 2007 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ” საქართველოს კანონისა, დადგენილი წესის შესაბამისად, საგარეო ვალის ძირითადი თანხის დაფარვის ანგარიშში: შ.პ.ს. „თბილავიამშენს“ გადაერიცხა 1 935.4 ათასი ლარი, ხოლო ვალის მომსახურების ანგარიშში 1 758.7 ათასი ლარი.

საშინაო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურებისათვის საანგარიშო პერიოდში სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 20 088.6 ათასი ლარი, რაც ვალდებულების (20 088.6 ათასი ლარი) 100% და ექვსი თვის გეგმიური მაჩვენებლის (29 477.6 ათასი ლარი) 68.1%-ია.

საგარეო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურებისა და დაფარვისათვის საანგარიშო პერიოდში სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 30 965.6 ათასი ლარი, რაც ვალდებულების (30 965.6 ათასი ლარი) 100% და ექვსი თვის გეგმიური მაჩვენებლის (82 861.4 ათასი ლარი) 37.4%-ია. აქედან, მომსახურებისათვის გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 10 668.9 ათასი ლარი, ხოლო ვალდებულების დაფარვისათვის (დაფინანსების) გაწეულმა ხარჯებმა – 20 296.7 ათასი ლარი.

ორგანიზაციული კოდების მიხედვით დანართის სახით თანდართულია ასევე ინფორმაცია კრედიტებიდან და გრანტებიდან გაწეული ხარჯების შესახებ. უცხოეთიდან მიღებული დაფინანსების წყაროებითა და გრანტებით განსახორციელებელი ინვესტიციური პროექტების კუთხით 14 შემთხვევაში საკასო ხარჯების მოცულობა აღემატება საგეგმო მაჩვენებელს. საკასო ხარჯების მეტობა საგეგმო მაჩვენებლებზე გამოწვეულია, ანგარიშგებისას დონორების მიერ პროექტების დასაფინანსებლად ხაზინის ერთიანი ანგარიშის გაუვლელად კომერციულ ბანკებში ჩარიცხული თანხების ბიუჯეტის შემოსულობებში და ხარჯებში ასახვის გამო, რომლის საფუძველია ფინანსთა სამინისტროს საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტის მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია. საანგარიშო პერიოდში საგეგმო მაჩვენებლებზე მეტია საკასო ხარჯები: სტრუქტურული რეფორმების მხარდამჭერი პროექტი (25 06 05) – 2 555.8 ათასი ლარი; ენერგოგამანაწილებელი სისტემის რეაბილიტაცია ი პროექტი (36 04 06) – 7 054.9 ათასი ლარი; სასოფლო-სამეურნეო კვლევის, დანერგვა-კონსულტირების და სწავლების პროექტი (37 23 04) – 592.7 ათასი ლარი; სანაპირო ზონის ინტეგრირებული მართვის პროექტი (38 19 05) – 643.1 ათასი ლარი; კოლხეთის დაბლობზე მცხოვრები მოსახლეობის სოციალური უსაფრთხოების გაუმჯობესების პროექტი (38 19 07) – 381.2 ათასი ლარი; ირიგაციისა და ღრენაჟის მომხმარებელთა ორგანიზაციების განვითარების პროექტი (25 06 17) – 620.9 ათასი ლარი; შიდასახელმწიფოებრივი და ადგილობრივი გზების პროექტი (26 14 02 05) – 1 101.6 ათასი ლარი; ტუბერკულოზის და ლეიკემიის კონტროლის პროგრამა (kfw) (35 32 06) – 71.3 ათასი ლარი; მუნიციპალური განვითარებისა და დეცენტრალიზაციის ი პროექტი (25 06 02) – 619.6 ათასი ლარი; ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის დამხმარე ზონის კომუნალური უსაფრთხოების რეაბილიტაცია – ფაზა I (kfw) (38 19 02) –

81.8 ათასი ლარი; მიწის კადასტრისა და რეგისტრაციის სისტემის ჩამოყალიბება – I პროექტი (27 18 01) – 1 185.0 ათასი ლარი; მიწის კადასტრისა და რეგისტრაციის სისტემის ჩამოყალიბება –II პროექტი (27 18 02) – 527.3 ათასი ლარი; ელექტრომომარაგების სექტორული პროგრამა პროექტი (36 04 08) – 245.9 ათასი ლარი; სოციალური ინვესტიციების I პროექტი (25 06 03) – 69.2 ათასი ლარი.

სახაზინო სამსახურში მიმდინარე რეფორმების ფარგლებში დაგეგმილია ინვესტიციური პროექტების განმახორციელებელი საჯარო სამართლის იურიდიული პირების ხაზინის მომსახურებაზე ეტაპობრივი გადასვლა, შედეგად დონორების მიერ თანხების ჩარიცხვა მოხდება ხაზინის ანგარიშზე და ხარჯები დადგენილი პროცედურების დაცვით გაიწევა ხაზინის ერთიანი ანგარიშიდან.

### სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები ფუნქციონალურ ჭრილში

ძირითადი ფუნქციონალური კატეგორიების მიხედვით 2007 წლის იანვარ-აპრილში სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯები შემდეგი სტრუქტურით ხასიათდება:

საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების ხაზით გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 169 097.5 ათასი ლარი, რაც ექვსი თვის გეგმიური მაჩვენებლის (296 414.6 ათასი ლარი) 57%-ია. აღნიშნულ ხარჯებში დიდია ხვედრითი წილი აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის, ფინანსური და ფისკალური საქმიანობის და საგარეო ურთიერთობის ხარჯების დაფინანსების – 63 680.4 ათასი ლარი, რაც გეგმის (106 528.7 ათასი ლარი) 59.8%-ია და საერთო დანიშნულების მომსახურების ხარჯების 37.6%-ი, სახელმწიფო ვალებთან დაკავშირებული ოპერაციების ხარჯების დაფინანსების – 52 055.5 ათასი ლარი, ანუ გეგმის (115 412.1 ათასი ლარი) 45.1% და საერთო დანიშნულების მომსახურების ხარჯების 30.8 %.

თავდაცვის ღონისძიებების ხარჯების დასაფინანსებლად 2007 წლის ექვსი თვის გეგმით გათვალისწინებულია 370 846.4 ათასი ლარის გამოყოფა; გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 269 680.2 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 72.7%, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების მთლიანი მოცულობის 21.8%-ს შეადგენს.

საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების ხაზით 2007 წლის ექვსი თვის გეგმით განსაზღვრულია 299 823.4 ათასი ლარის გამოყოფა, ხოლო გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 185 905.1 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 62%, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების მთლიანი მოცულობის 15%; აღნიშნულ ხარჯებში სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობის დაფინანსების ხარჯებმა საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების სფეროში შეადგინა 128 620.7 ათასი ლარი, რაც გეგმის (185 243.3 ათასი ლარის) 69.4%-ია; პოლიციის სამსახურის და სახელმწიფო დაცვის ხარჯების დაფინანსებამ შეადგინა 25 916.4 ათასი ლარი, ანუ ექვსი თვის გეგმის (48 493.9 ათასი ლარი) 53.4%; სასამართლოებისა და პროკურატურის დაფინანსების ხარჯებმა (17 427.4 ათასი ლარი) შეადგინა გეგმის (30 757.4 ათასი ლარი) 56.7%.

ეკონომიკური საქმიანობის ხაზით 2007 წლის ექვსი თვის გეგმით გათვალისწინებულია 309 223.4 ათასი ლარის გამოყოფა, ხოლო გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 176 174.3 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 57%. აღნიშნულ ხარჯებში საერთო ეკონომიკური, კომერციული და შრომით რესურსებთან დაკავშირებული საქმიანობის დაფინანსების ხარჯებმა (6 710.6 ათასი ლარი) შეადგინა გეგმის (12 373.2 ათასი ლარი) 54.2%; სოფლის მეურნეობის, სატყეო მეურნეობის, მეთევზეობისა და მონადირეობის დაფინანსების ხარჯებმა, გეგმის (27

332.1 ათასი ლარი) 53.1% შეადგინა; სათბობისა და ენერგეტიკის დასაფინანსებლად გათვალისწინებულია 129 694.8 ათასი ლარის გამოყოფა, გაწეულმა საკასო ხარჯმა კი შეადგინა 103 753.2 ათასი ლარი, რაც გეგმის 80%-ია; მათ შორის: ნავთობისა და ბუნებრივი აირის დაფინანსების ხარჯებმა შეადგინა 89 652.8 ათასი ლარი, ანუ გეგმის (100 861.6 ათასი ლარი) 88.9%; ელექტროენერგეტიკის ხარჯების დასაფინანსებლად განისაზღვრა 28 833.2 ათასი ლარის გამოყოფა, გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 14 100.4 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 48.9%. ტრანსპორტის ხარჯების დასაფინანსებლად გათვალისწინებულია 117 135.1 ათასი ლარის გამოყოფა, გაწეულმა საკასო ხარჯმა (36 071.0 ათასი ლარი) შეადგინა გეგმიური მაჩვენებლის 30.8%; ეკონომიკის სხვა დარგების ხარჯების (6 284.8 ათასი ლარი) დაფინანსებამ შეადგინა ექვსი თვის საგეგმო მაჩვენებლის (9 067.6 ათასი ლარი) 69.3%; კვლევები და განვითარება ეკონომიკური საქმიანობის სფეროში დაფინანსდა 2 902.8 ათასი ლარით, რაც გეგმის (4 505.6 ათასი ლარი) 64.4%-ია; სხვა არაკლასიფიცირებული ხარჯების დაფინანსებამ ეკონომიკურ საქმიანობაში შეადგინა 5 897.2 ათასი ლარი, ანუ საგეგმო მაჩვენებლის (9 044.9 ათასი ლარი) 65.2%.

გარემოს დაცვის ხაზით 2007 წლის ექვსი თვის გეგმით გათვალისწინებულია 16 369.9 ათასი ლარის გამოყოფა, ხოლო გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 7 141.3 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 43.6%. გარემოს დაბინძურების წინააღმდეგ ბრძოლის ხარჯების დასაფინანსებლად განისაზღვრა 2 059.4 ათასი ლარის გამოყოფა, საკასო ხარჯმა კი შეადგინა 1 331.6 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 64.7%-ია; სხვა არაკლასიფიცირებული ხარჯების დასაფინანსებლად გარემოს დაცვის სფეროში განისაზღვრა 8 278.2 ათასი ლარის გამოყოფა, საკასო ხარჯმა (3 160.0 ათასი ლარი) შეადგინა გეგმის 38.2%.

საბინაო-კომუნალური მეურნეობის ხაზით 2007 წლის ექვსი თვის გეგმით გათვალისწინებულია 6 333.9 ათასი ლარი, საკასო ხარჯმა (575.1 ათასი ლარი) შეადგინა გეგმის 9.1%.

ჯანმრთელობის დაცვის ხაზით 2007 წლის ექვსი თვის გეგმით განსაზღვრულია 113 336.4 ათასი ლარის გამოყოფა, ხოლო გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 65 575.2 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 57.9%, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების მთლიანი მოცულობის 5.3%-ი; ამბულატორიული მომსახურების ხარჯების დასაფინანსებლად გათვალისწინებულია 17 880.0 ათასი ლარის გამოყოფა, საკასო ხარჯმა (9 197.9 ათასი ლარი) შეადგინა გეგმიური მაჩვენებლის 51.4%; საავადმყოფოების მომსახურებისათვის გაწეულმა ხარჯებმა (22 401.8 ათასი ლარი) შეადგინა გეგმის (36 812.0 ათასი ლარი) 60.8%; საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურების ხარჯები დაფინანსდა – 23 858.3 ათასი ლარით, რაც გეგმის (35 566.7 ათასი ლარი) 67.1%-ია; სხვა არაკლასიფიცირებული ხარჯები ჯანმრთელობის დაცვის სფეროში დაფინანსდა 9 490.0 ათასი ლარით, რაც გეგმის (22 055.7 ათასი ლარი) 43%-ია.

საქმიანობა კულტურის, დასვენებისა და რელიგიის სფეროში დაფინანსდა 29 234.8 ათასი ლარით, რაც 2007 წლის ექვსი თვის გეგმიური მაჩვენებლის – 44 398.6 ათასი ლარის 65.8%-ს შეადგენს. ვდასვენებისა და სპორტის სფეროში მომსახურების ხარჯებმა (12 134.7 ათასი ლარი) შეადგინა გეგმის (16 578.0 ათასი ლარი) 73.2%; კულტურის სფეროში მომსახურების ხარჯებმა – 8 171.4 ათასი ლარი, ანუ გეგმის (14 092.1 ათასი ლარი) 58%; ტელე-რადიო მაუწყებლობის და საგამომცემლო საქმიანობის დასაფინანსებლად განისაზღვრა 9 700.0 ათასი ლარი გამოყოფა, საკასო ხარჯმა (6 785.7 ათასი ლარი) შეადგინა გეგმის 70%; რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობის დაფინანსების ხარჯებმა შეადგინა 1 056.2 ათასი ლარი, რაც გეგმის (2 365.6 ათასი ლარი) 44.6%-ია.

განათლების სფეროს დასაფინანსებლად 2007 წლის ექვსი თვის გეგმით განისაზღვრა 163 946.9 ათასი ლარის გამოყოფა; გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 103 939.9 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 63.4% და სახელმწიფო ბიუჯეტის მთლიანი ხარჯების 8.4%-ი; აღნიშნულ ხარჯებში დიდია ხვედრითი წილი: ზოგადი განათლების საფეხურის დაფინანსების – 83 834.5 ათასი ლარი, რომელმაც შეადგინა გეგმის (125 517.0 ათასი ლარი) 66.8%;



უმაღლესი განათლების დაფინანსების – 10 357.4 ათასი ლარი, რაც გეგმის (20 901.9 ათასი ლარი) 49.5%-ია;

სოციალური დაცვის ხაზით 2007 წლის ექვს თვეში განისაზღვრა 357 582.6 ათასი ლარის გამოყოფა; გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 228 973.4 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 64%, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების მთლიანი მოცულობის 18.5%-ი. აკადემოფობისა და შრომისუუნარობის ხარჯების დაფინანსებამ შეადგინა 1 646.4 ათასი ლარი, ანუ საგეგმო მაჩვენებლის (4 131.7 ათასი ლარი) 39.8%; ხანდაზმულთა სოციალური დაცვის ხარჯების დასაფინანსებლად განისაზღვრა 245 465.7 ათასი ლარის გამოყოფა, საკასო ხარჯმა შეადგინა 162 149.4 ათასი ლარი, ანუ გეგმის 66.1%; ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვისთვის გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 37 847.0 ათასი ლარი, რაც გეგმის (61 086.3 ათასი ლარი) 61.9%-ია.

### **საქართველოს პრეზიდენტის და საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდები**

საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდის 2007 წლის ექვსი თვის საგეგმო მაჩვენებელი განისაზღვრა 6 719.0 ათასი ლარით. საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებით საანგარიშო პერიოდში საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი ასიგნებების მოცულობამ 31 შემთხვევაში შეადგინა 4 945.6 ათასი ლარი.

გამოყოფილი ასიგნებებიდან საანგარიშო პერიოდის განმავლობაში გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 3 134.6 ათასი ლარი.

შესაბამისად, საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში აუთვისებელი თანხების მოცულობამ მიმდინარე წლის 1 მაისის მდგომარეობით შეადგინა 1 811.0 ათასი ლარი.

საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდის 2007 წლის ექვსი თვის საგეგმო მაჩვენებელი განისაზღვრა 20 397.1 ათასი ლარით, ხოლო საანგარიშო პერიოდში საქართველოს მთავრობის განკარგულებით სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი ასიგნებების მოცულობამ 64 შემთხვევაში შეადგინა 20 249.7 ათასი ლარი, საკასო ხარჯმა – 14 439.7 ათასი ლარი.

საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი ასიგნებებიდან 2007 წლის პირველი მაისისთვის აუთვისებელი თანხების მოცულობამ შეადგინა სულ 5 810.0 ათასი ლარი.

### **წინა პერიოდის დავალიანებათა დაფარვა**

„საქართველოს 2007 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების, დეფიციტის დაფინანსების წყაროებისა და გადასახდელების და 2007 წლის ნაერთი ბიუჯეტის შემოსულობების კვარტალური განწერის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №5 ბრძანებით დამტკიცებული განწერით, წინა პერიოდის დავალიანებების დაფარვის გეგმა 2007 წლის ექვს თვეში განისაზღვრა 3 500.0 ათასი ლარით, ხოლო დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 3 079.8 ათასი ლარი. საანგარიშო პერიოდში საბიუჯეტო ორგანიზაციებზე დავალიანებების დასაფარად გამოყოფილი იქნა 6.7 ათასი ლარის ასიგნება, ასევე ბიუჯეტის კანონით ცალკეული ღონისძიებების სახით დავალიანებების დასაფარად ექვს თვეში განისაზღვრა 15 158.0 ათასი ლარის ასიგნება. ამასთან

ბიუჯეტის შესახებ კანონით განსაზღვრული ღონისძიებებისა და გამოყოფილი ასიგნებების მიხედვით საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ საანგარიშო პერიოდში გაწეული ხარჯების მაჩვენებლები ბიუჯეტის ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლების მიხედვით შემდეგია: „სხვა საქონელი და მომსახურების” მუხლით საკასო ხარჯმა შეადგინა 2 879.4 ათასი ლარი, რაც გეგმის (4 708.0 ათასი ლარი) 61.2%-ია; „სუბსიდიების, სუბვენციების და მიმდინარე ტრანსფერების” მუხლიდან გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 5 761.5 ათასი ლარი ანუ გეგმის (10 419.8 ათასი ლარი) 55.3%; კაპიტალური ხარჯების გეგმამ შეადგინა 36.9 ათასი ლარი, საკასო ხარჯმა (34.4 ათასი ლარი) შეადგინა გეგმის 93.2%.

“საქართველოს 2007 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ” საქართველოს კანონით გათვალისწინებული ღონისძიებების დასაფინანსებლად განსაზღვრული ასიგნებებიდან გაწეული იქნა ხარჯები: “სხვა საქონელი და მომსახურების” მუხლიდან საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ, წინა წლებში შესრულებული საგზაო სამუშაოების აუნაზღაურებელი ნაწილის გადასახდელად – 1 871.4 ათასი ლარი (გეგმა – 3 700.0 ათასი ლარი); „სუბსიდიების, სუბვენციების და მიმდინარე ტრანსფერების” მუხლიდან ანტიტერორისტულ ოპერაციებში წარმოქმნილ დავალიანებათა დაფარვის ღონისძიებებისათვის – 476.0 ათასი ლარი (გეგმა – 500.0 ათასი ლარი); „სუბსიდიების, სუბვენციების და მიმდინარე ტრანსფერების” მუხლიდან განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიზნობრივი პროგრამების დასაფინანსებლად (პრეზიდენტის ნაციონალური პროგრამა „საგანმანათლებლო დაწესებულებების რეაბილიტაცია”) – 4 739.6 ათასი ლარი (გეგმა – 8 455.8 ათასი ლარი). „სუბსიდიების, სუბვენციების და მიმდინარე ტრანსფერების” მუხლიდან საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სოციალური პროგრამების დასაფინანსებლად – 545.9 ათასი ლარი (გეგმა – 1 464.0 ათასი ლარი); მათ შორის: დახმარება შრომითი მოვალეობის შესრულებისას დასაქმებულის ჯანმრთელობის ვნების შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურებისათვის ( ე.წ. რეგრესიული პენსიები) – წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანების დაფარვა – 412.1 ათასი ლარი (გეგმა – 1 164.0 ათასი ლარი); სამუშაო ადგილებზე პროფესიული მომზადების მიზნობრივი სახელმწიფო პროგრამა – 133.8 ათასი ლარი (გეგმა – 300.0 ათასი ლარი). საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს „კაპიტალური ხარჯების” მუხლით (2006 წელს შესრულებული სამუშაოების აუნაზღაურებელი ნაწილის გადახდაზე) გამოეყო 34.4 ათასი ლარი (გეგმა – 36.9 ათასი ლარი).

“სასამართლო გადაწყვეტილებათა აღსრულების ფონდის” ასიგნებების ფარგლებში, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ, შესაბამისი სააღსრულებლო ბიუროების საინკასო დავალებებით, სახაზინო სამსახურის ანგარიშებიდან წინა წლებში წარმოქმნილ დავალიანებებზე სასამართლო გადაწყვეტილებებით დაკისრებული თანხების სახით ავტომატურ რეჟიმში იძულების წესით ჩამოჭრილია – 1 001.3 ათასი ლარი (გეგმა – 1 001.3 ათასი ლარი), რაც გატარდა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს „სხვა საქონელი და მომსახურების” მუხლში.

2007 წლის იანვარ-აპრილის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობებისა და გადასახდელების შესრულების წარმოდგენილი ანგარიში შედგენილია სახაზინო სამსახურში არსებული მონაცემების საფუძველზე.